ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი N 12

სხდომის ჩატარების დრო:

26 ოქტომბერი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქი ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა N59.
აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შენობის მე-2 სართულზე არსებული სამკითხველო დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეთორმეტე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე, ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, გ.კილაძე, ხ.არველაძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, გ.მანაგაძე, ქ.ხურციძე, ე.არჩაია.

სულ: 35 წევრიდან 26 წევრი

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: კ.გურული, გრ.შუშანია, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 9 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი ი.უგულავა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მოქალაქეთა მიღების, საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ბატონი პ.ადამაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი ი.გიორგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი მ.ხიდაშელი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითრების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი თ.ბერიშვილი, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.ნადირაძე:** „მინდა დავაყენო ერთი საკითხი, რომელიც ბევრს აინტერესებს და ამასთან დაკავშირებით ბევრი კითხვა ისმის. ამ შემთხვევაში გამოვდივარ როგორც „ქალაქ - მუზეუმის“ ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი. საკითხი ეხება ჩეჩელაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებულ ჰოსპიტლის ტერიტორიას. ეს არის 8000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც გაცემულ იქნა ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში, უპირობოდ. ეს ტერიტორია გაყიდულია უკვე 5 წელია, როგორც ჩემთვისაა ცნობილი, ჩინელებზე და იქ არის საშინელი ანტისანიტარია. არა მგონია, პეკინში ან შანხაიში ჩვენ ვინმემ მოგვცეს ქალაქის ცენტრში ამხელა ტერიტორია და ტყედ გვაქცევინოს იქაურობა. ბატონო იუზა, იქნებ მოვიყვანოთ ეს ხალხი და ვკითხოთ რას აპირებენ? უპირობოდაა გადაცემული, დანაშაულია ჩადენილი. მესმის, რომ საკუთრებაა, მაგრამ მოვიყვანოთ ეს ხალხი და დავეკითხოთ, სანამდე უნდა იყოს ასე? მეორეა ბაზრის უკან ყოფილი სახანძროს ტერიტორია. ესეც იმ პერიოდშია გაცემული და იგივე მდგომარეობაა. ამ ტერიტორიების პატრონებმა გაგვცენ კითხვაზე პასუხი თუ რას აპირებენ? როგორც ჩანს, მათ არ აწუხებთ ჩვენი ქალაქის იერსახე და ინფრასტრუქტურა, მაგრამ ჩვენ ძალიან გვაინტერესებს და გვაწუხებს ეს საკითხი. კულტურის სახლის შენობაშიც საშინლად ავარიული მდგომარეობაა. იქ დადის ხალხი და რამე რომ მოხდეს, მერე ჩვენ უნდა ვიყოთ ამაზე პასუხისმგებლები. მოვიწვიოთ საკრებულოში და გაგვცენ პასუხები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ნამდვილად მნიშვნელოვანი საკითხია. კრიტიკას ვერ უძლებს ის მდგომარეობა, რაც ამ მიწის ნაკვეთებზეა. მე როგორც ვიცი, მუნიციპალური ფორმით ჩართულობა არ ყოფილა, თუმცა დაზუსტებისთვის კარგი იქნება თუ გავივლით ამ

საკითხს, მათ შორის, თანამშრომლობის ფორმატში. ჩვენ ვიცით, რომ ამ ადამიანებთან, კონკრეტულ სუბიექტებთან, ბიზნეს ჯგუფებთან, გარკვეული ურთიერთობა გვაკავშირებს. მათ შორისაა თანამშრომლობა „ჰუალინგ“ ჯგუფთან და კარგი იქნება თუ მათთან შეხვედრაზე გავივლით ამ საკითხს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მინდა რამდენიმე საკითხი დავაყენო და შეკითხვით მივმართო მერიას. პირველი საკითხი შეეხება მერიაში ჩატარებულ რეორგანიზაციას, რის შედეგადაც მოხდა მერიის საშტატო ნუსხაში საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობაში ცვლილებების შეტანა. მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო შემდეგ ფაქტზე და შეკითხვას ვუსვამ ქალაქის მესვეურთ. აღნიშნული დოკუმენტაციით, პირველადი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა ხელფასები თანაბრად იქნა გაზრდილი კატეგორიების მიხედვით. თუმცა, იმავეს ვერ ვიტყვით მეორადი სტრუქტურული ერთულის თანამშრომლებზე, სადაც დოკუმენტების მიხედვით ერთი და იმავე კატეგორიის თანამშრომლების თანამდებობრივი სარგოები არის განსხვავებული. კერძოდ, უმრავლეს შემთხვევებში, განყოფილებებში, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ხელფასი გაიზარდა და შეადგენს 1320 ლარს, მაშინ როცა დანარჩენ განყოფილებებში იმავე კატეგორიის თანამშრომლების ხელფასი შეადგენს 1100 ლარს. ფაქტიურად ხელფასი არ გაზრდიათ. ვთვლი, რომ თანამშრომელთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება შეიცავს გარკვეულწილად შრომითი დისკრიმინაციის ნიშნებს და ვთხოვ ბატონ იუზას მოგვცეს განმარტება აღნიშნულ განსხვავებებთან დაკავშირებით, თუ რის საფუძველზე მოხდა საჯარო მოხელეების არათანაბარ პირობებში ჩაყენება, ან უახლოეს დროში იგეგმება თუა არა შესაბამისი შრომითი ხელფასების გაზრდა. ჩემი მეორე განცხადება არის ყბადაღებული თემა, რომელიც არა და არ სრულდება. ბატონი თემურიც დამეთანხმება და ეს ეხება ჯიბლაძის ქუჩას. ჩვენ არაერთხელ მოგვმართეს ამ ქუჩის მაცხოვრებლებმა და შეწუხებულები არიან იქ არსებული მდგომარეობით. ეს პრობლემები გამოიწვია ქუჩაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებმა. თუ ყოფილხართ იმ ტერიტორიაზე, ნახავდით, რომ სამუშაოები მიმდინარეობს უხარისხოდ. არასწორადაა დამონტაჟებული წყლის მილები, რომლებშიც

წყალი თითქმის არ გადის, ამის გამო ივსება წყლით სარდაფები და რაც მთავარია, ეს სარეაბილიტაციო სამუშაოები ძალიანაა გაწელილი დროში. იმის ნაცვლად, რომ სამუშაოები დასრულებულიყო მაისის თვეში, გადაიწია სექტემბერში, თუმცა არც მაშინ არ დასრულდა. ჩემთვის ცნობილია, რომ დაჯარიმდა შესაბამისი მომწოდებელი, მაგრამ ეს არ ხსნის ამ ქუჩის მაცხოვრებლების პრობლემას. ასევე, მინდა ვთქვა, რომ ძალიან ცუდ მდგომარეობაშია ტროტუარები და ახდილია ჭების თავები, რომელშიც თავისუფლად შეიძლება ჩავარდეს ადამიანი. დღესაც იქ ვიყავი, მაგრამ არანაირი ცვლილება არ არის. დარწმუნებული ვარ ქალაქის მერს ამ ქუჩაზე არც გაუვლია, გადავუღე იქ არსებულ მდგომარეობას ფოტოები და მინდა გადასცეთ ეს ფოტოები ქალაქის მერს. გთხოვთ, გაგვცეთ პასუხი რა მოელის იქ მაცხოვრებლებს და ანალოგიურ სიტუაციაში მყოფ ხახანაშვილის ქუჩას. მესამე საკითხი შეეხება ბაგა-ბაღებს. ბაგა-ბაღების ააიპ-ის ხელმძღვანელის 2022 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებით ბაგა-ბაღებში იგეგმება და ატესტაცია უტარდება სტრუქტურული ქვედანაყოფების დირექტორებს, ააიპ-ის დირექტორის წარმომადგენლებს, რომლებიც ადრე იწოდებოდნენ ბაღის გამგეებად. აღნიშნულ ბრძანებაში, ნამდვილად არ იკითხება ატესტაციის ჩატარების კანონშესაბამისობა. როგორც გუშინ კომისიის სხდომაზე განმარტა იურისტმა, ფილიალების დირექტორები არანაირად არ წარმოადგენენ ბაგა-ბაღების პერსონალთა საშტატო განრიგში მყოფ პირთა კატეგორიას, თუმცა ისინი არიან ააიპ-ის ადმინისტრაციის თანამშრომლები და მათ უტარდებათ ატესტაცია. მაშინ ისმის ორი შეკითხვა: თუ ისინი არიან ადმინისტრაციის თანამშრომლები, რატომ მარტო მათ უტარდებათ ეს ატესტაცია და რატომ არ არიან ისინი თანაბარ პირობებში ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებთან? როგორც ვიცი, გაფორმებული არის უვადო შრომითი ხელშეკრულებები. შრომითი ურთიერთობა არის განუსაზღვრელი ვადით. ამავე დროს, 2015 წელს ადმინისტრაციის დიდმა ნაწილმა გაიარა ატესტაცია. ტესტების მომზადებისა და ტესტირების ორგანიზებისათვის ააიპ-მა 5000 ლარი გადაუხადა იუსტიციის სასწავლო ცენტრს მაშინ, როდესაც „ადრეული და სკოლამდე აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული გარკვეული მოთხოვნები დღემდე შეუსრულებელია და რის მიზეზადაც სახელდება ფინანსური რესურსის არ არსებობა.

მაშინ, როდესაც არავის უფიქრია თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, როცა ვერც ერთი ბაღი ვერ გაივლის ავტორიზაციას ინფრასტრუქტურული პირობების გამო, მაშინ, როცა დღემდე 29-ე საბავშვო ბაღი, რომელიც იწოდება „მაუდის ბაღად“, ქირითაა სხვადასხვა შენობებში. ამ ყველაფრის ფონზე ააიპი იღებს გადაწყვეტილებას ატესტაცია ჩაუტაროს იმ პირებს, რომლებიც ამდენი წელია მიზერულ თანხად ემსახურებიან პატარა ბავშვებს. გუშინ დავინტერესდი რა ბედი მოელის ამ ადამიანებს, თუკი ისინი ვერ გაივლიან ამ ატესტაციას და იურისტმა მიპასუხა, რომ მათთან შეწყდება შრომითი ხელშეკრულება და ისინი გათავისუფლდებიან სამსახურიდან, ვინაიდან ისინი ვერ აკმაყოფილებენ თანამდებობრივ კვალიფიკაციას. ეს ადამიანები თითქმის 7 წელია დასაქმებულები არიან ბაგა-ბაღებში და მე ხელთ მაქვს მათი ფუნქცია-მოვალეობები. ეს ყველაფერი გაწერილია 2 თაბახის ფურცელზე და ამას დამატებული, მათ შეიძლება, ასევე, დაემატოთ სხვადასხვა ფუნქციები. მაშინ რა გამოდის, ამდენი წლების განმავლობაში ჩვენ საქმე გვქონდა იმ ადამიანებთან, რომლებიც კვალიფიკაციას ვერ აკმაყოფილებდნენ, თუ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება? არათანაბარ პირობებში ადამიანების ჩაყენება და მათი დისკრიმინაცია. გთხოვთ პასუხი გაგვცეთ ჩვენ და იმ ადამიანებს, რომლებიც არიან ამ მდგომარეობაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „დავაზუსტებ ქალბატონო ხათუნა. თქვენ ფიქრობთ, რომ დებულების შესაბამისად, რომლითაც ხელმძღვანელობს ააიპი, ამ ატესტაციის გამოცხადება და ამ პროცესის დაწყება რაიმე ფორმით წინააღმდეგობაშია კანონთან?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.ალველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „საქმე იმაშია, რომ მას შემდეგ, რაც გავეცანი ბრძანებას, რომლითაც უშუალოდ უნდა მოხდეს ატესტაცია, იქ არ არის მითითებული არანაირი საფუძველი. მითითებულია შრომის კოდექსის მე-14 მუხლი, რომელიც არანაირად არ მიესადაგება ამ პროცესს. ეს არის უბრალოდ ხელშეკრულების შინაარსისა და პირობების განმსაზღვრელი პუნქტი, რომლის გამოყენებაც არანაირად არ შეიძლება ატესტაციის შემთხვევაში და აქედან გამომდინარე, ჩვენ გვაქვს ეჭვი, რომ ეს არ არის ატესტაცია. ატესტაციამდე უნდა მომხდარიყო ამ ხალხის გადამზადება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ბრძანება კანონით არ არის გამართლებული?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „დიახ, დამერწმუნეთ. ვიცი, რომ ამის გასაჩივრების მექანიზმები არსებობს და გასაჩივრების შემდეგ შეიძლება ეს ადმინისტრაციული აქტი გაბათილდეს. მე მაქვს ეჭვი, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სადამსჯელო ღონისძიებასთან ამ გამგეების მიმართ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თუ თქვენ ამ სუბიექტურ შეფასებაში შედიხართ და თვლით, რომ კონკრეტულად ეს ადმინისტრაციული აქტი არ არის სამართლებრივი, საკმაოდ გამოცდილი იურისტი ბრძანდებით და ვფიქრობ, რომ თქვენი მოსაზრება რაღაც ფორმით რაღაც კონკრეტულ ნაწილს ემყარება, რაც თქვენ გაძლევთ ამის თქმის საშუალებას, მაშინ პირდაპირ გეუბნებით, ხომ არ აჯობებდა პირდაპირ სამართლებრივად, თქვენვე ჩართულიყავით ამ პროცესში? ან კონკრეტულ მოქალაქეს სასამართლო წესით გაესაჩივრებინა ამ აქტის მოქმედება. თუ თქვენ თვლით, რომ ეს აქტი არაკანონიერია, მაშინ რა არის თქვენი შემდგომი ნაბიჯი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მე პირადად ვერ ვიპოვე ვერსად სამართლებრივი ნორმა, რომლითაც შეიძლებოდა ეს ქმედება გამართლებულიყო. წინა დღეებში წესდება მოვითხოვე და მითხრეს, რომ უნდა მომეთხოვა ოფიციალურად, მაშინ, როდესაც წესდება საჯაროა და უნდა ქვეყნდებოდეს ოფიციალურ გვერდზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „დიახ, წესდება საჯაროა და შეგიძლიათ მოიძიოთ ოფიციალურ გვერდზე (matsne. gov.ge)“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მე მინდა დავსვა კითხვა. რომელი სამართლებრივი ნორმით ხდება ატესტაცია და რა მიზანს ემსახურება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.ნადირაძე:** „ქალბატონო ხათუნა, აბსოლუტურად გეთანხმებით თქვენ მიერ დაყენებულ მე-2 პრობლემასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, ვარ იმ უბნის მაჟორიტარი და მეორეც - თავად იქ ვცხოვრობ. გასაგებია, რომ ტენდერში გამარჯვებული ფირმა აღმოჩნდა არაკეთილსინდისიერი. მათთან რამდენჯერმე მოხდა შეხვედრა, მაგრამ მიუხედავად დაჯარიმებისა, არაფერი შეცვლილა. როგორც გვითხრეს, შეცვლილია საქმის მწარმოებელი და გვპირდებიან, რომ დაჩქარებული წესით მოაგვარებენ ღია ჭებსა და ტროტუარებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „ჩვენი სამსახურია სამხედრო განყოფილება. ამ განყოფილების თანამშრომლები მიიჩნევენ, რომ ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა ხელფასებთან დაკავშირებით მერიაში, მათ არ შეხებიათ და გამოთქვამენ გულისწყვეტას. რასთან გვაქვს საქმე?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** ხელფასი არ გაზრდილა, არასწორი შეფასებაა. მერიის ყველა მოსამსახურეს შეეხო 20%-იანი ხელფასების მატება. ასევე, შრომის ხარისხის შესაბამისად, მოემატათ ხელფასები. თუ რანგის მომატებას გულისხმობთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ჩვენი შეკითხვა იცით რაში მდგომარეობდა? სხვადასხვა განყოფილებაში ერთი და იმავე რანგისა და კატეგორიის თანამშრომლებს, რომ სხვადასხვა ანაზღაურება აქვთ. ეს რატომაა ასე?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „კანონი იძლეოდა ამის საშუალებას და ეს კოეფიციენტები იმიტომ არის დამტკიცებული, რომ შრომის ანაზღაურება იყოს შრომის ხარისხის შესაბამისი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „გამოდის სხვები უხარისხოდ ასრულებენ სამუშაოს?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.კილაძე:** „ბატონო იუზა, ვიცე მერების ხელფასებს შორის თუ არის რამე სხვაობა? რანგი თუ თანაბარია, შესაბამისად, ანაზღაურებაც თანაბარი უნდა იყოს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „ვიცე მერი არის ერთი და მისი ხელფასი არის 4200 ლარი და სხვები არიან მოადგილეები. მოადგილეების ხელფასებს შორის არაა სხვაობა და ვიცე მერისა და მოადგილეების ხელფასებს შორის არის სხვაობა. რაც შეეხება ჯიბლაძის ქუჩას, სამუშაოები გაგრძელდება. 80% -ით წავედით იმაზე, რომ მოგვეგო მოსახლეობის გული. ის, რომ მოსახლეობასთან წყალი არ შევიდოდა რელიეფი არ იძლეოდა ამის საშუალებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „ქალბატონმა ხათუნამ აღნიშნა, რომ არ არსებობს ბაღების გაერთიანებაში ატესტაციის ჩატარების სამართლებრივი საფუძვლები. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიღებული აქვს ორი დადგენილება, რომელთაგან ერთ-ერთი შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში ატესტაციის ჩატარებას. დამტკიცებული არის როგორც ატესტაციის ჩატარების წესი, ასევე, კონკურსის ჩატარების წესი. სწორედ ეს დადგენილება არის ბაღების გაერთიანებაში ატესტაციის ჩატარების სამართლებრივი საფუძველი. ეს არის ნორმატიული დოკუმენტი, რომლის გასაჩივრების უფლება ჰქონდა ნებისმიერ პირს, მიუხედავად იმისა, იქნებოდა თუ არა დაინტერესებული. ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო მისი გასაჩივრება და 2015 წლიდან ეს დადგენილება არავის გაუსაჩივრებია. მისი კანონიერება ეჭქვეშ არავის დაუყენებია. ეს დადგენილება ქუთაისის ტერიტორიაზე

მოქმედი ყველა მუნიციპალური კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის ატარებს კანონის ძალას. ის აზრი, რომ ეს არის ქალაქის მერის პარტიული გადაწყვეტილება, მცდარია. ამ დადგენილებაში წერია, რომ ატესტაცია ტარდება დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილება ატესტაციის ჩატარების თაობაზე მიიღო ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელმა. ის არის უფლებამოსილი, განსაზღვროს იმ პირთა ნუსხა, ვისაც შეიძლება შეეხოს ატესტაცია. დადგენილებაში მითითებულია, რომ ააიპ-ში დასაქმებული პირი ატესტაციას სამ წელიწადში ერთხელ ექვემდებარება. დირექტორს სრული უფლება ჰქონდა განესაზღვრა ამ ეტაპზე ვინ ექვემდებარება ატესტაციას, მან განსაზღვრა და გამოაცხადა. აქ მერის უფლება-მოვალეობა შემოიფარგლება იმით, რომ მერი უმტკიცებს ატესტაციის თემატიკას და მეტი არაფერი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე, ბატონი **გ.კილაძე:** „რაც შეეხება იმას, რომ ქალაქის მერს არავინ დაუსჯია. სწორეს ქალაქის მერის მიერ დასჯილმა პიროვნებამ, ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ, რომელიც გაათავისუფლეს სამსახურიდან დასჯის მიზნით, გუშინ მოიგო სასამართლო პროცესი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „პროცესი ნამდვილად მოგებულია. მოთხოვნა ბატონი გ.მუქერიასი იყო სამსახურში აღდგენა და იძულებით განაცდურის ანაზღაურება. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება და მას მოთხოვნა ნაწილობრივ დაუკმაყოფილა. კერძოდ, უარი ეთქვა სამსახურში აღდგენაზე, იძულებით განაცდურის ანაზღაურებაზე კი მერიას დააკისრა კომპენსაციის გადახდა. ეს გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს მიერ გადამოწმდება ამ ნაწილში. ჩვენ ვაპირებთ გასაჩივრებას, თუ თავად გიორგი გაასაჩივრებს, ვნახოთ რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „გამიკვირდა იურისტისგან იმის მოსმენა, რომ რაღაც დოკუმენტებს კანონის ძალა აქვს. თქვენს მიერ წარმოდგენილი არც ერთი ნორმა (ამას ნორმასაც ვერ დავარქმევ) არ არის სამართლებრივად გამყარებული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ნ.ბიბილეიშვილი** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „გაჟღერდა პრობლემები და ნახსენები იქნა 29-ე ბაგა-ბაღი, რომელიც წლებია ქირითაა გასული. იქნებ მოხერხდეს ჩეჩელაშვილის ქუჩაზე, ყოფილი ჰოსპიტლის ტერიტორიის მოწესრიგება და ამ ბაღის რეაბილიტაცია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ჩვენ 2021-2022 წლებში მოვახერხეთ რამდენიმე ბაღის რეაბილიტაცია. მათ შორის, ავტომშენებლის ტერიტორიაზე ორი ახალი ბაღის აშენება. ეს საკითხი საკმაოდ მწვავედ იდგა იმ უბანში, იმიტომ, რომ სკოლამდელი აღზრდა იქ მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი არ იყო. შესაბამისად, წავედით ამ გზით და ავაშენეთ 2 ბაგა-ბაღი იქ, სადაც ყველაზე მწვავედ იდგა ეს საკითხი. რაც შეეხება 29-ე ბაღს. მე ნამდვილად მახსოვს, 29-ე ბაღის მშენებლობის საკითხის განხილვა. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, მათ შორის შესაბამის სამინისტროებთან თანამშრომლობით, რომ მოხდეს ამ ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტების ბაღის აშენება. ამ მხრივ არსებობს მთავრობის ინიციატივაც და ხელშემწყობი პროგრამებიც, რომლებიც კონკრეტულად ამ მიმართულებით მიმდინარეობს. მე ძალიან კარგად მახსოვს რამდენი დაიხარჯა თუნდაც 2022 წელს ბაღების რეაბილიტაციაზე. ჩვენ გარკვეული კომუნიკაციები გავიტანეთ ბაგა-ბაღების გარეთ უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით. ამ ნაწილს თუ დავუკვირდებით, ნათელია ჩვენი პოლიტიკა და იმ შესაძლებლობების ფარგლებში ვმოქმედებთ, რაც მუნიციპალიტეტს გააჩნია. გარდა ამისა, ვიცი, რომ არის თანამშრომლობა შესაბამის დონორებთან და სამთავრობო პროგრამებთან. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ინფრასტრუქტურის ნაწილს საბოლოო ჯამში გეგმისა და მოცემულობის შესაბამისად მოვაწესრიგებთ. რაც შეეხება თანამშრომლებს. მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო და გავიმეორო ფრაზა: „სამართლებრივი ნაწილი“. მე ვერ შევალ სამართლებრივ დავაში თუ

კონკრეტული სამართლებრივი აქტი რამდენად არის სამართლებრივად გამართული. აქ ბრძანდებიან იურისტები და შეუძლიათ დამატებითი მოსაზრებები გამოთქვან ამასთან დაკავშირებით, თუმცა, აბსოლუტურად ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ და პოლიტიკურმა თანამდებობის პირმა, რომ თუკი ამ აქტის საფუძველზე გარკვეულწილად იქნება შეზღუდული რომელიმე პირის უფლება ან რაიმე ფორმით შეილახება, მზად ვარ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ამ ადამიანს პირადად მე მივცე პირობა, რომ ბოლომდე ვიბრძოლებ მასთან ერთად, რომ მისი პირობა და შესაძლებლობაც, ატესტაცია იქნება ეს თუ ნებისმიერი სხვა რამ, არ დაირღვეს და თუ ასეთი რამ მოხდება, პირადად ვიძლევი გარანტიას და ამაში ჩემი კოლეგებიც დამეთანხმებიან, რომ ჩვენ არავის მივცემთ უფლებას, კონკრეტული ადამიანის რაიმე კონკრეტული უფლება შეილახოს რა თანამდებობაზეც არ უნდა იყოს. ამის პირობას ვიძლევი საჯაროდ. მზად ვარ, ნებისმიერ ფორმატში თუკი რაიმე დამატებითი კონსულტაცია გვჭირდება, თქვენ და ჩვენ, შეგვიძლია სადეპუტატო უფლებამოსილების ფარგლებში მივმართოთ დამატებითი კითხვით. ვფიქრობ, ქალბატონო ხათუნა, ეს კითხვები კარგად გაქვთ ჩამოყალიბებული საჯარო ფორმატში და სხდომაზე წარმოსადგენად. ამ კითხვებს შეიძლება ზემოდან დაესვას მუხლები, რომლებიც სადეპუტატო კითხვებს შეეხება და გააგზავნოთ შესაბამის სტრუქტურებში, რათა ამაზე მიიღოთ წერილობითი პასუხი, გქონდეთ დოკუმენტი და არ გავხადოთ საჯარო დისკუსიის ნაწილი. ჩვენ ნაწილს რაც შეეხება, თუკი ჩვენ დავინახავთ ამის საჭიროებას, რომ აქტის მოქმედების საფუძველზე ვინმეს უფლებები ილახება, დარგობრივი კომისია იქნება ეს თუ ფრაქცია, ამაზე რეაგირებას გააკეთებს აბსოლუტურად ღიად და საჯაროდ. რაც შეეხება რეორგანიზაციის ყბადაღებულ თემას, მე ვფიქრობ, აბსოლუტური განმარტებაა, რომ ერთი და იგივე კატეგორიის ადამიანს, მისი საქმიდან გამომდინარე, შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული სახელფასო ანაზღაურება. სწორედ კანონმა დაუშვა ამ კუთხით საკითხის დანახვა. რამდენადაა ეს პრინციპი სამართლიანი და რამდენადაა დაცული თანასწორობის უფლება, ვერ გეტყვით. რამდენად შეგვიძლია მოვიტანოთ, რომ ერთ ადამიანს თუ აქვს კატეგორია და განსაზღვრული ანაზღაურება, იგივე პოზიციაზე სხვას ჰქონდეს სხვა ხელფასი. როდესაც კანონი უშვებს ამ შესაძლებლობას და ამ კანონის

ირგვლივ არსებობს შეთანხმება, მათ შორის ჩვენი, თქვენი და საზოგადოების, მე ვფიქრობ, ეს არ უნდა გახდეს დამატებითი სპეკულაციების საგანი. მე ვფიქრობ, თქვენი ეს მოსაზრება კონკრეტულ პირს, მიდგომას არ ეხება და ეხება შტატს, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული საქმის განხორციელებას. ჩვენ საუბარი გვაქვს შტატზე და არა რომელიმე კონკრეტულ პირზე. თუ შტატით შესაბამისი დატვირთვა აქვს და საჯარო მოხელე იმ პოზიციაზე ასრულებს მის ფუნქცია-მოვალეობას, არ აქვს მნიშვნელობა კონკრეტიკას. შესაბამისად, კანონმა დაუშვა, რომ ამ პოზიციას ჰქონდეს სხვადასხვა მიდგომები, ამიტომ პოლიტიკური ქულების სუნი მცემს, რომელიც თქვენი მხრიდან წარმოჩინდა და მხოლოდ ამას ემსახურება ახლა ეს საკითხი. როდესაც ჩვენ განვიხილავდით ამ საკითხს, მაშინ არც დამატებით განხილვაზე ყოფილა საკითხი დაყენებული თქვენის მხრიდან. შეგეძლოთ იმ აქტის მოქმედება დაგეყენებინათ სამართლებრივ გზაზე. ყოველთვის თქვენი პოზიცია ისმის საჯაროდ საკრებულოს სხდომაზე. არც სამართლებრივი რეაგირებაა რიგ შემთხვევაში და არც პოლიტიკური. პოლიტიკურ რეაგირებად თქვენ შეგიძლიათ ჩათვალოთ ეს განცხადება, მაგრამ მე არ ვთვლი. დღეს ჩვენ აქ გვაქვს საკითხი, რომელსაც იმედია, დაეთანხმება ოპოზიციაც, რომ დეპუტატს სადეპუტატო უფლება-მოვალეობების განხორციელების საშუალება უნდა ექნეს. ჩავიხედოთ კანონში, საკრებულოს წევრის, დეპუტატის უფლებამოსილებაში და ვიმოქმედოთ ამ კანონის შესაბამისად. დამერწმუნეთ, ამ კანონის შესაბამის ერთ მოქმედებასაც თუ არ დავინახავ, ყოველთვის ვიქნები იმ დეპუტატის გვერდით, რომელიც ამ კითხვებს დასვამს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.კილაძე:** „მინდა სამძიმარი გამოვუცხადო ვაკის პარკში ტრაგიკულად დაღუპული მარიტა მეფარიშვილის ოჯახს და რამდენიმე დღის წინ უკრაინაში გმირულად დაღუპული მიშა კაპლანის ოჯახს. მე მინდოდა ქალაქის მერი ყოფილიყო ამ სხდომაზე, მაგრამ ამ ბოლო დროს ქალაქის მერის ნაცვლად ბატონ იუზას უწევს დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა. მე მგონი, დროა ქალაქის მერიც დაგვესწროს და გაგვცეს პასუხები. ბატონო იუზა, რამდენიმე დღის წინ დაასრულეთ გიორგი ბრწყინვალის ქუჩის რეაბილიტაცია და მაინტერესებს

ჩაბარებულია თუ არა ეს ქუჩა? ადგილობრივი ბიუჯეტიდან თუ მოხდა ამ პროექტის დაფინასება და ეკუთვნის გიორგი ბრწყინვალის ქუჩა ქუთაისს? თუ კი, მაშინ მაინტერესებს რატომაა მთელ ქუჩაზე თბილისის მერიის ლოგოთი გაფორმებული ჭის სახურავები და როცა იბარებდით, რატომ არ გაგიჩნდათ კითხვა, რატომაა იგივე მელიქიშვილისა და წერეთლის ქუჩებზე? იქნებ აგვიხსნათ, რატომ, როცა ვიცით ქალაქის მერმა რამდენი გადაიხადა ლოგოს დამზადებაში.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-12 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ 2022 წლის 26 ოქტომბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 26 ოქტომბრის სხდომის რეკომენდაციით, საკრებულოს მე-12 სხდომის დღის წესრიგის პროექტიდან ამოღებულ იქნა მე-3 საკითხი - „სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების (ბაგა-ბაღების) დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, ბაგა-ბაღებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის, საქმიანობის ორგანიზების, სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობის წესებისა და სამუშაო რეჟიმის დებულების დამტკიცების შესახებ“ და მე-10 საკითხი - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**, **რადგან, შესაბამამისი კომისიების გადაწყვეტილებებით, აღნიშნული საკითხები მოითხოვს რიგი დეტალების დაზუსტებასა და სრულყოფას. ამასთან, აღმასრულებელი ორგანოს წინადადებით, შეიცვალა დღის წესრიგის პროექტის მე-2 საკითხის წარმომდგენი პირი. საკითხს, მერის მოადგილის, ბატონი ირაკლი ქარქაშაძის ნაცვლად, წარმოადგენს, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი ირაკლი გიორგაძე. გარდა ამისა, ბიუროს სხდომის რეკომენდაციით, მერის წერილობითი მოთხოვნის გათვალისწინებით, დღის წესრიგის პროექტს ბოლო ნომრად დაემატა საკითხი „გაეროს ბავშვთა ფონდისაგან გრანტის მიღების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-12 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2022 წლის ოქტომბერი) გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ბატონი ამირან კოპალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის
კომისიის თავმჯდომარე

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2022 წლის ოქტომბერი) გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

6. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მირზა ხიდაშელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო
ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის
ხელმძღვანელის მოადგილე

7. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბესიკ გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის“ საწესდებო კაპიტალში შეტანის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ფიქრია ნიკოლაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

10. გაეროს ბავშვთა ფონდისგან გრანტის მიღების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

წარმოდგენილი დღის წესრიგის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს მე-12 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული, გრ.შუშანია, თ.მესხი, კ.გაბუნია, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-12 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის ჩამოყალიბებაზე ძალიან ბევრი იშრომა აპარატის შესაბამისმა სტრუქტურამ, სამდივნო განყოფილებამ, ამ პროცესში იყავით ჩართულნი ყველანი. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან ინსტიტუციურ ცვლილებას, რომელიც ეხება უშუალოდ საკრებულოს წევრებს და საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესს. ეს ნორმა თქვენც, ოპოზიციის წევრებსაც, გაძლევთ იმის საშუალებას, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი თქვენი უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო იქნება მატერიალური თუ

ფისკალური რესურსი, სრული უფლება გექნებათ მოითხოვოთ დაფინანსება დადგენილი ნორმის მიხედვით. ეს, რა თქმა უნდა, ერთი ორად აძლიერებს საკრებულოს როგორც ინსტიტუციის ნორმას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი საკრებულოს წესს და რიგს და რეალურად აძლევს საშუალებას ნორმის გათვალისწინებით იმოქმედონ დეპუტატებმა. აქამდე, ეს ნორმა ბუნდოვნად იყო რეგლამენტში. ამ შემთხვევაში ეს აწესრიგებს იმ მოცემულობას, რომელიც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებას ეხება. იმედი მაქვს თქვენი მხარდაჭერის. ეს ეხება საკრებულოს წევრს, რომელიც არ არის თანამდებობის პირი. თუკი უფლებამოსილების განსახორციელებლად დასჭირდება ფინანსური თუ ფისკალური რესურსი ეს მიღოს. თუ საკითხი შეეხება კონკრეტული მივლინების ნაწილს, საკრებულოს წევრს შეუძლია ისარგებლოს აღნიშნულის თაობაზე არსებული მოქმედი კანონმდებლობით.“

ამის შემდეგ, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“.

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის თაობაზე დაისვა შეკითხვა, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პრტია „ქართული ოცნება“): „რა კონკრეტულმა შემთხვევებმა განაპირობა ეს ცვლილებები?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ეს წესი არ არსებობდა ცალკე დადგენილების სახით. აღნიშნულის თაობაზე ჩანაწერი იყო რეგლამენტში და იქ დაწვრილებით არ იყო ჩამოყალიბებული არათანამდებობის პირი საკრებულოს წევრის ანაზღაურების შესახებ. შესაბამისად, ჩვენ ეს ნორმა ამოვიღეთ რეგლამენტიდან. რეგლამენტში აქამდე არსებული ნორმა ბევრ

ორაზროვნებას მოიცავდა მათ შორის კანონთან მიმართებაში. ორგანულმა კანონმა აბსოლუტურად სწორხაზოვნად არ განსაზღვრა ამ ნორმის მოქმედება და ჩვენი დადგენილებით ამას უშუალოდ რეგლამენტში ვერ ავსახავდით. შესაბამისად, ამ ნორმით და ამ მუხლით სარგებლობის უფლება დეპუტატს ფაქტობრივად არ ჰქონდა. ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს შეეძლო შეხედულებისამებრ განეკარგა ინდივიდუალური აქტით. ამიტომ, ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ცალკე დადგენილებად, ნორმად, რომელშიც ნათლადაა ასახული და ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს არ აძლევს საშუალებას მისი შეხედულებისამებრ აღნიშნული მუხლის მოქმედება შეუზღუდოს რომელიმე დეპუტატს. კონკრეტულად ვიტყვი, თუკი საკრებულოს წევრი წარადგენს ანგარიშს მოქალაქეების წინაშე და ამისთვის მას დასჭირდება შესაბამისი ინფრასტრუქტურის დაქირავება და წარმოადგენს დადასტურებულად ხარჯს, მას აქვს უფლება მოითხოვოს ეს ხარჯი დაუფინანსოს შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანომ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი** „არაერთგვაროვანი პრაქტიკა არსებობდა ქვეყნის მასშტაბით ამ საკითხთან დაკავშირებთ. განსხვავებულია მიდგომა იყო სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში და რომ მოქცეულიყო ეს სამართლებრივ ჩარჩოებში და არ ყოფილიყო განსხვავება, ყველგან გაკეთდა ერთი და იგივე სამართლებრივი ფორმით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ორგანულმა კანონმა ნათლად არ განმარტა. ჩვენ მოვაწესრიგეთ ეს ნორმა ჩვენ მუნიციპალიტეტში, ჩვენ საკრებულოში აღნიშნული დადგენილებით. აქ შედის საკრებულოს წევრის მიერ რეალურად გაღებული ნებისმიერი მატერიალური ხარჯი, რომელიც ეხება სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის

პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული, გრ.შუშანია, თ.მესხი, კ.გაბუნია, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, წინააღმდეგი: 7 წევრი: თ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, ხ.არველაძე, გ.კილაძე, ლ.შალამბერიძე, გ.მანაგაძე და დ.ბახტაძე), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ **დადგენილება N 46** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი.გიორგაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ნ.ბიბილეიშვილი:** „რამდენ ბენეფიციარზეა გათვლილი ეს საცხოვრისი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ახალი საცხოვრისი გათვლილია 42 ოჯახზე. ბიუროს სხდომაზეც იყო კითხვები ამასთან დაკავშირებით და ამომწურავი პასუხები მივიღეთ ბატონი ირაკლისგან. მაგრამ მაინც, საზოგადოებისთვის რომ იყოს ცნობილი, ბატონო ირაკლი, როგორ ფიქრობთ ამ წესის და ნორმის დამტკიცება რაიმე წესით აუმჯობესებს კომისიის მოქმედებას თუ რისთვის გახდა ეს აუცილებელი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „კომისიას სჭირდება თავისი სამოქმედო გეგმა. კომისია ჰაერიდან ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, უნდა დაეყრდნოს რაღაცას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „აქამდე რით მოქმედებდა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „წესი იყო, თუმცა, ამ წესში შევიტანეთ ცვლილება. მე-4 მუხლს დაემატა 2 კრიტერიუმი: ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირები, რის ვალდებულებაც, კანონით ისედაც გვაქვს, რომ უნდა უზრუნველვყოთ საცხოვრებლით და ასევე მარტოხელა პირები, რომლებსაც შინ არავინ არ ჰყავთ. ჩვენ ამ ცვლილებით გავაფართოვეთ პირთა წრე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს წესი ეხება ძალადობის მსხვერპლ ქალებს. თუ ჩვენ ეს ნორმები გვექნება რეგლამენტირებული და გაწერილი, როგორ ფიქრობთ, ხომ არ აჯობებს ეს შეასრულოს სამსახურმა და არა კონკრეტულმა საბჭომ, რომ მაქსიმალურად გავთიშოთ ერთის მხრივ, ბიუროკრატია და მეორეს მხრივ, სუბიექტური მოცემულობა საბჭოს წევრებს შორის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი ი. **ქარქაშაძე:** „მინდა აღვნიშნო, რომ კომისიის მუშაობა უფრო გამჭვირვალეა და საზოგადოებრივი ნდობა უფრო მაღალია. ამ კომისიის შემადგენლობაშია მერიის თანამშრომლები, საკრებულოს წევრები, არასამთვრობო და სხვა სახელმწიფო უწყებებიც.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დ.მხეიძე:** „კომისიის წევრები ვინ არიან?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „საკრებულოს წევრები, არიან სოციალური სააგენტოებიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სხვადასხვა უწყებებისა და ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული, გრ.შუშანია, თ.მესხი, კ.გაბუნია, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ბიბილეიშვილი, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 6-მა წევრმა: თ.ხურციძემ, ხ.არველაძემ, გ.კილაძემ, ლ.შალამბერიძემ, გ.მანაგაძემ და დ.ბახტაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-2 საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის ირაკლი გიორგაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება N47** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2022 წლის ოქტომბერი) გაწეული მუშაობის შესახებ“**

ანგარიში წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ა.კოპალეიშვილმა**.

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო ამირან, დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ. საკმაოდ ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი მუშაობისთვის. განსახილველი საკითხების რაოდენობასაც თუ გადავხედავთ საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია გაკისრიათ. ეს კომისია თავისი შინაარსიდან და თვისებიდან გამომდინარე, საკმაოდ მნიშვნელოვანია. კომისიის თითოეულ წევრს საშუალება აქვს აბსოლუტურად ღიად იმოქმედოს კანონის შესაბამისად და მოახდინოს რეაგირება, რომელიც ამ კომისიის ფორმატში განიხილება. ამავდროულად, მინდა აღვნიშნო, რომ ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება დაესწროს ამ კომისიის სხდომებს და გაეცნოს მის მუშაობას. ამ კომისიის შესაბამისი ანგარიშიც იქნება საჯარო და ყველას ექნება საშუალება ფართოდ გაეცნოს კომისიის მუშაობას. მადლობა კომისიის თითოეულ წევრს.“

ამის შემდეგ, ზემოაღნიშნული ანგარიშის შესახებ **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა **ირაკლი შენგელიამ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.ბასილაძე, მ.ჩიხლაძე, კ.გურული, გრ.შუშანია, თ.მესხი, კ.გაბუნია, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 17 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 7-მა წევრმა: თ.ხურციძემ, ხ.არველაძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, გ.კილაძემ, ლ.შალამბერიძემ, გ.მანაგაძემ და დ.ბახტაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-3 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2022 წლის ოქტომბერი) გაწეული მუშაობის შესახებ“ **განკარგულება N126** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2022 წლის ოქტომბერი) გაწეული მუშაობის შესახებ“**

ანგარიში წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა**.

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მინდა ჩემი პოზიცია დავაფიქსირო ამ კომისიასთან მიმართებაში. პირველ რიგში, ორგანულ კანონში განხორციელებულ ცვლილებასთან დაკავშირებით ამ

კომისიის როლი და ფუნქცია ერთი ორად გაიზარდა. ძალიან ბევრი ისეთი საკითხი შევიდა მის კომპეტენციაში, რომელიც დარეგულირებულია იგივე ორგანული კანონის შესაბამისად და რეგლამენტით. ამ კომისიას თვისობრივად ძალიან დიდი როლი აქვს და ჩემი სუბიექტური აზრია გავაფართოოთ მისი სახელწოდება და გავხადოთ „იურიდიულ საკითხთა და საპროცედურო საკითხთა კომისია“, რომელიც შინაარსობრივად ნამდვილად ესადაგება, იმიტომ, რომ რიგი საპროცედურო საკითხებისა, რომელიც დაკავშირებულია საკრებულოს უფლებამოსილების განხორციელების პროცესთან, უშუალოდ ეხება ამ კომისიას და ამ კომისიის რეაგირებებზე და გადაწყვეტილებებზეა დაყრდნობილი. არა მხოლოდ იურიდიული ნორმების მხრივ მიდის მსჯელობა, ასევე, მსჯელობა მიდის პროცედურების მხრივაც. კომისიას არა ერთი ნორმა განუმარტავს და შემდეგ, საკრებულოს სწორედ ამ დასკვნის საფუძველზე მიუღია გადაწყვეტილება. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი კომისია და მე მინდა მადლობა გადავუხადო კომისიის თითოეულ წევრს, მათ შორის, ღიად ოპოზიციურ ნაწილს, იმიტომ, რომ ამ კომისიაში ყოველთვის იგრძნობა საქმიანი დამოკიდებულება, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროსაც კი. საკმაოდ კარგი ფორმატია თანამშრომლობისთვის და ეს არის კომისიის ხელმძღვანელის, ქალბატონი თეას დამსახურება. მადლობა ქალბატონო თეა და წარმატება კომისიას.“

ამის შემდეგ, ზემოაღნიშნული ანგარიშის შესახებ **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 26 ოქტომბრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტი გასწორდა რედაქციულად),** ცვლილებით, წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-4 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის

პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული, გრ.შუშანია, თ.მესხი, კ.გაბუნია, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ხ.არველაძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 6-მა წევრმა: თ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, გ.კილაძემ, ლ.შალამბერიძემ, გ.მანაგაძემ და დ.ბახტაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-4 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას მიერ წარმოდგენილი რედაქციით, რედაქციული ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 ოქტომბრის **N 127 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2022 წლის ოქტომბერი) გაწეული მუშაობის შესახებ“ **განკარგულება N127** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა**.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-5 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია

კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული, გრ.შუშანია, თ.მესხი, კ.გაბუნია, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-5 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, თეა ჯუღელის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N128** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-6 საკითხის - **„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **მ.ხიდაშელმა**.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მოსახლეობისა და მედიისათვის რომ იყოს უფრო გასაგები, რომელ პროექტებზეა საუბარი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **მ.ხიდაშელი:** „ზ.გამსახურდიას გამზირის რეაბილიტაცია, ასათიანის ქუჩაზე N99 მრავალსართულიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია, დუმბაძის ქუჩაზე მრავალსართულიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია, კოლხეთის ქუჩაზე ქსელის მშენებლობა, ნინოშვილის სკვერის რეაბილიტაცია, საჭადრაკო სკოლის ძველი ფლიგელის რეაბილიტაცია, ნიჩბოსნობის სკოლის რეაბილიტაცია, ხარებავას ქუჩის N52-ში სპორტული დარბაზის რეკონსტრუქცია (რაც გულისხმობს ახლი ფლიგელის მიმატებას), მ.კოსტავას ქუჩის რეკონსტრუქცია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.კილაძე:** „პრიორიტეტებში იყო „ოქროს ჩარდახი“. გუშინ, კომისიის სხდომის შემდეგ გადასული ვიყავი „ოქროს ჩარდახში“. მართლა მძიმე მდგომარეობაა. ცენტრალური საყრდენი თითქმის გამოცლილი აქვს შენობას. მინიმალური ოდენობის ნალექი, რომ მოვიდეს თოვლის სახით, ალბათ, იმასაც ვერ გაუძლებს ამ ზამთარში. ჩვენ თავზე ავიღოთ ინიციატივა, ნუ დაველოდებით ცენტრალური ხელისუფლებიდან თანხმობას და იქნებ, ამ ჩამონათვალში როგორმე მოვახვედროთ „ოქროს ჩარდახი“. თითქმის მკილს აქვს შეჭმული იატაკიც და ჭერიც. მესმის, რომ 2006 წლიდან არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და იქ სამუშაოების განხორციელება იქნება ძნელი, მაგრამ ჩვენი თხოვნა იქნება, ამ ჩამონათვალში პირველი იყოს ეს შენობა და მოხდეს მისი სრული რეაბილიტაცია. გუშინ მოვინახულეთ წითელი ხიდი, სადაც, ასევე, რთული მდგომარეობაა და ასევე ჯაჭვის ხიდიც, იქ თითქმის აღარ არის ასფალტის საფარი დარჩენილი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „ჯაჭვის ხიდის პროექტირებაზე გამოვაცხადეთ ტენდერი და შემდეგ შევწყვიტეთ, იმიტომ, რომ სჭირდება სერიოზული გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „გეთანხმებით, ჩვენ ამაზეც გვქონდა საუბარი. „ოქროს ჩარდახის“ ინფრასტრუქტურა მართლაც სავალალო მდგომარეობაშია და ერთიანი ძალისხმევით ჩვენ შევძლებთ ამ საკითხის მოწესრიგებას. როგორც ვიცი, არსებობს პროექტი, რომელიც შესყიდულია მუნიციპალიტეტის მიერ, მაგრამ დამატებით განსახილველია სამართლებრივი ნაწილი, ვინაიდან, ეს ქონება ამ ეტაპზე არ არის მუნიციპალური საკუთრება. ამ მხრივ, ჩვენი ძალისხმევა უნდა მივმართოთ იქითკენ, რომ ეს ისტორიული ძეგლი გახდეს მუნიციპალიტეტის საკუთრება და ადმინისტრაციული ნაწილი ვრცელდებოდეს სრულყოფილად. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ეს პროცესი კიდევ უფრო კომპლექსურია ვიდრე მხოლოდ რეაბილიტაციის საკითხი. ამ პროცესში ჩაერთვება საკრებულოც და მივალთ კონკრეტულ შედეგამდე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.კილაძე:** „ჩვენ ამ ეტაპზე, თავს შევიკავებთ. ეს არის ჩვენთვის მთავარი თემა და როდესაც „ოქროს ჩარდახი“ მოხვდება ჩამონათვალში, აუცილებლად დავუჭერთ მხარს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-6 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული, გრ.შუშანია, თ.მესხი, კ.გაბუნია, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 7-მა წევრმა: თ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, ხ.არველაძემ, გ.კილაძემ, ლ.შალამბერიძემ, გ.მანაგაძემ და დ.ბახტაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-6 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური

და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, მირზა ხიდაშელის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N129** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-7 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა**.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-7 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული, გრ.შუშანია, თ.მესხი, კ.გაბუნია, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 7-მა წევრმა: თ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, ხ.არველაძემ, გ.კილაძემ, ლ.შალამბერიძემ, გ.მანაგაძემ და დ.ბახტაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-7 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, თინათინ ბერიშვილის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N 130** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-8 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბესიკ გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის“ საწესდებო კაპიტალში შეტანის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 26 ოქტომბრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპლიტეტის მერის წერილის თარიღი და ნომერი; განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის ბოლოს ჩაემატა ფრაზა: „კერძოდ, საზოგადოებრივი პარკინგის მოწყობის მიზნით“),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა**.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ამ სკვერის ინფრასტრუქტურას დაემატა კონკრეტული მიწის ნაკვეთი,

რომელზეც აშენდება და იფუნქციონირებს პარკინგი, რომლით სარგებლობის უფლებაც ექნება ნებისმიერ მოქალაქეს და შესაბამისად, ეს განმარტება ბიუროს სხდომაზე იქნა შეტანილი ცვლილების სახით. არა „საერთო“, არამედ „საზოგადოებრივი“ სარგებლობის უფლება. მშენებლობის უფლებაზე არ არის საუბარი. ეს ტერიტორია გამოიყენებოდა როგორც პარკინგი, მაგრამ იყო მუნიციპალური საკუთრება და გამოიყენებოდა სამართლებრივი ნორმების გარეშე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.კილაძე:** „როგორც ვიცით, საუბარია 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემაზე და თუ კონკრეტულ შპს-ს დაუფიქსირდება მოგება, იმ შემთხვევაში გადაიხდის თანხას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „შეიძლება საერთოდ არ გადაიხადოს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.კილაძე:** „თუ ამ ადამიანს მიწის ნაკვეთი ნამდვილად სჭირდება პარკინგისთვის, ხომ არ აჯობებს „პარკინგსერვისს“ გადავცეთ ეს ტერიტორია და შემოვა შემოსავალი ქუთაისის ბიუჯეტში. შეიძლება რაღაც დროის შემდეგ გაუჩნდეს რაიმე ინტერესები და ეს ადამიანი შემოვიდეს საკრებულოს სხდომაზე ცვლილებით და მიწის ნაკვეთის გარკვეულ მონაკვეთზე მოითხოვოს რაიმე მშენებლობის ნებართვა. აქედან გამომდინარე, გადავცეთ „პარკინგსერვისს“ და შემოსავალიც შემოვა ქალაქში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „აღნიშნული შპს არის დაფუძნებული მერიის მიერ და არის მუნიციპალური შპს, რომლის მართვის უფლებაც გადაცემული აქვს კონკრეტულ ბიზნეს სუბიექტს. ეს ბიზნეს სუბიექტი, მე ვფიქრობ, ცნობილია თქვენთვის, ვინაიდან თქვენი ხელისუფლების დროს მოხდა აღნიშნული შპს-ს გადაცემა. შესაბამისად, ჩვენ ახლა ვახდენთ აღნიშნული ობიექტის მოცულობის გაზრდას. იქ ფაქტობრივი მდგომარეობით ახლაც არის პარკინგი. აღნიშნულმა შპს-მ მუნიციპალიტეტში უნდა შეიტანოს გადასახადი, ამავდროულად

გაიზარდა მისი ქონება, გაიზრდება შესაბამისად ქონების გადასახადიც. ეს შემოსავალი მიწის გადასახადიდან შემოვა თუ პარკირებიდან, მე ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ის, რომ აქ სხვა რამ კონსტრუქცია არ ჩაიდგმება, ამის პირობა ჩვენ ჩავდეთ. აქ იქნება მხოლოდ პარკინგი და სხვა არაფერი. ამ ქონების განკარგვა თქვენი ნებართვის გარეშეც ვერ მოხდება. თუ მომავალში გადავწყვეტთ, რომ მივცეთ ნებართვა რაიმე მშენებლობისთვის, ამაზე აუცილებელი იქნება თქვენი ნებართვაც. აღჭურვილი ხართ ამ უფლებით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე, ბატონი **გ.კილაძე:** „კონკრეტულად მაინტერესებს რატომ არა პარკინგსერვისს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ქონების გადასახადით მივიღებთ ამ შემოსავალს თუ პარკინგით ეს ყველაფერი აისახება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რომლის განკარგვის უფლება გავქვს ჩვენ და მიღებული შემოსავლები მოხმარდება მოქალაქეებს. „პარკინგსერვისის" შემოსავალი ხმარდება კონკრეტული შპს-ს ინტერესებს და მათ შორის, ქალაქისაც. რომელი ჯიბიდან ავიღებთ ფულს, ამას მნიშვნელობა არ აქვს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ლ. შალამბერიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა): „ეს პიროვნება თანხას შემოიტანს ბიუჯეტში იმ შემთხვევაში თუ წავა მოგებაზე, ხოლო პარკინგსერვისი შემოიტანდა თანხას ნებისმიერ შემთხვევაში."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თ.ბერიშვილი:** „ქონების გადასახადს გადაიხდის ნებისმიერ შემთხვევაში."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **მ.ჭოხონელიძე** (პარტია „ქართული ოცნება") „მე, როდესაც გადავიხდი პარკინგის გადასახადს, სად

დავაყენებ ავტომობილს რა მნიშვნელობა აქვს. არ მესმის ამით „პარკინგსერვისს“ რა ემატება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თქვენ იმდენად ხართ ბატონო გიორგი გარკვეული ამ საკითხში, რომ იქნებ მითხრათ ქონების გადასახადი ამ ფართობზე უფრო მეტია თუ შპს-ში პარკინგით მიღებული გადასახადი? მე გეტყვით, რომ ქონების გადასახადი მეტია და დაგისაბუთებთ ამას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-8 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული, გრ.შუშანია, თ.მესხი, კ.გაბუნია, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 7-მა წევრმა: თ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, ხ.არველაძემ, გ.კილაძემ, ლ.შალამბერიძემ, გ.მანაგაძემ და დ.ბახტაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-8 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, თინათინ ბერიშვილის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 ოქტომბრის **N131 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბესიკ გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის“ საწესდებო კაპიტალში შეტანის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N131** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-9 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ფიქრია ნიკოლაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 26 ოქტომბრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპლიტეტის მერის წერილის თარიღი და ნომერი),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა**.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-9 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული, გრ.შუშანია, თ.მესხი, კ.გაბუნია, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-9 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის თინათინ ბერიშვილის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალიწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 ოქტომბრის **N132 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ფიქრია ნიკოლაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N132** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-10 საკითხის - **„გაეროს ბავშვთა ფონდისგან გრანტის მიღების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 26 ოქტომბრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის აღნიშვნითი ნაწილის დასაწყისში, ჩაემატა ფრაზა: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ“),** ცვლილებით წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი.გიორგაძემ**.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-10 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული, გრ.შუშანია, თ.მესხი, კ.გაბუნია, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-10 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, ირაკლი გიორგაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალიწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 ოქტომბრის **N133 განკარგულების** პროექტში.

(„გაეროს ბავშვთა ფონდისგან გრანტის მიღების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N133** ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-12 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრების, მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების შემდეგ, საკრებულოს მე-12 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-12 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2023.06.22 12:02:06 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ნ.გუგავასა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.